



საქართველო

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 75/20

20. 11

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

გამგებელს

ბატონ გოგა გულორდავას

ბატონო გოგა,

გიგზავნით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში განხორციელებული სოციალური პროგრამების შესაბამისობის აუდიტის 2013 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებულ №46/00 ანგარიშს.

დანართი: 17 ფურცელი.

პატივისცემით,

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ფ. ჭაჭავაძე

ზურაბ ბუცხრიკიძე

საქართველო
წალენჯიხის
მუნიციპალიტეტის
გამგებელს

ფაქსი № 1473

-22- X/ 13.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ზ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყეშელაშვილი ზურაბ ზუცხრიკიძე

„ 20 “ 11 “ 2013 წელი

ეგზ. № 1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში

განხორციელებული სოციალური პროგრამების

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

№ 46/00

2013 წელი

ს ა რ ზ ე ვ ი

აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
მოკლე მიმოხილვა.....	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	6
ამბულატორიები და პოლიკლინიკები.....	6
უმწეოთა უფასო სასადილოები.....	7
გაჭირვებული და დაბალშემოსავლიანი ან მრავალშვილიანი ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	11
არაფულადი სოციალური დახმარება.....	12
გარდაცვლილ ლტოლვილთა და ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი.....	14
საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების და საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	15
სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება ან საცხოვრებლით უზრუნველყოფა.....	15
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	16
აუდიტის დასკვნა	17
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	17
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	17

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია

✓ დასკვნის გაცემა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

✓ მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დახმარების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა

ის მოთხოვნა, რომელთაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

მოკლე მიმოხილვა

პროგრამა ემსახურება სოციალურად დაუცველი, სიღარიბისა და სოციალური გაუცხოების ზღვარზე მყოფ, როგორც ადგილობრივ, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარებას. დახმარება გაეწევა უმწეო მდგომარეობაში მყოფ, გადახდისუუნარო მოსახლეობას (მშობიარობისა და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისთვის), ომის ვეტერანებს, სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს, ფსიქიკურად დაავადებულ პირებსა და მრავალშვილიანებს.

მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების დასარეგულირებლად, შემუშავებული და დამტკიცებულია შემდეგი სახელმძღვანელო დოკუმენტები:

- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება;
- შესაბამისი სამსახურის დებულება¹;

¹გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური.

- საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება სოციალური დახმარების გაცემის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ;
- სოციალური დახმარების გაცემის წესი;
- საკრებულოს განკარგულებები ცალკეული პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მოქმედი ნორმატიული ბაზის შესაბამისად, სოციალური პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებაში მონაწილეობს გამგეობის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური, ასევე სოციალური დახმარების გაცემის მიზნით შექმნილი კომისია. პროგრამების განხორციელებაზე კონტროლს ახორციელებს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, ჯანდაცვის, კულტურისა და სპორტის კომისია.

დახმარების გაცემის მიზნით შექმნილი კომისია განსაზღვრავს დახმარების მისაღებად წარსადგენი განცხადების ფორმასა და თანდართული დოკუმენტების ნუსხას. ასევე განიხილავს შემოსულ განცხადებებს და იღებს გადაწყვეტილებას დახმარების გაცემაზე. განცხადების უტყუარობა ფასდება თანდართული დოკუმენტებისა და რწმუნებულის შუამდგომლობის საფუძველზე. კომისიის გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი. თითოეულ ოქმში უნდა იყოს დასაბუთებული გასაცემი თანხის ოდენობა და საჭიროება. განსაკუთრებულ შემთხვევებში, 500 ლარამდე დახმარების გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს გამგებელი, ხოლო 500 ლარიდან 1000 ლარამდე - საკრებულო ან საკრებულოს თავმჯდომარე.

2011-2012 წლებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში გახარჯულმა თანხამ 892.5 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, 2011 წელს - 326.1 ათასი ლარი და 2012 წელს - 566.4 ათასი ლარი. პროგრამისთვის გახარჯული თანხა საშუალოდ ბიუჯეტის გადასახდელების 7%-ია. მუნიციპალიტეტში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე² გაანგარიშებით, 2011 წელს იყო 7 ლარი, ხოლო 2012 წელს გაიზარდა და გახდა - 12 ლარი. თანხის გადანაწილება პროგრამების მიხედვით მოცემულია ცხრილში.

²მოსახლეობის რიცხოვნობა - 46294 კაცი. წყარო: www.tsalenjikhka.ge

ცხრილი 1. თანხის განაწილება პროგრამების მიხედვით

№	პროგრამის დასახელება	დახარჯული თანხა (ათასი ლარი)	
		2011 წელი	2012 წელი
1	ამბულატორიები და პოლიკლინიკები	19.7	
2	უფასო სასადილო	145	150
3	გაჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახთა ერთჯერადი დახმარება	137.8	
4	გარდაცვლილ ლტოლვილთა და ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	2.8	4.8
5	ვეტერანთა და საომარი მოქმედების დროს დაღუპულ ოჯახებთან ერთჯერადი დახმარებები	6.2	5
6	სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა	14.6	53.1
7	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა დახმარება		59.6
8	გაჭირვებულ ოჯახთა ერთჯერადი დახმარება		265.3
9	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება		28.6
	სულ:	326.1	566.4

პირობითი მოსაზრებები საფუძვლები

ამბულატორიები და პოლიკლინიკები

2011 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ 19.7 ათასი ლარით დაფინანსდა შემდეგი ქვეპროგრამები:

- მშობიარობისა და ურგენტული სამედიცინო მომსახურება

ქვეპროგრამა განისაზღვრა უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის მშობიარობისა და ურგენტული სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად. დახმარება გაიწევა პირზე, რომელიც რეგისტრირებულია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ

და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს. მშობიარობა ფინანსდება 300 ლარით, ხოლო ურგენტული სამედიცინო მომსახურება - 500 ლარით.

- ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა

აღნიშნული ქვეპროგრამა შემუშავდა ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის, სოციალურად საშიში დაავადებების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სტაციონალური ავადმყოფების გამოკვლევა C ჰეპატიტზე, აივ ინფექციებზე და სიფილისზე, ასევე ფსიქიკურად ავადმყოფი მოქალაქის გადაყვანა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

გამოვლენილი გარემოება

2012 წელს ამბულატორიებისა და პოლიკლინიკების პროგრამის ფარგლებში გახარჯულია 11.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ნაცვლად სოციალური უზრუნველყოფისა, ასახულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. შესაბამისად, ბალანსში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი არ მოიცავს ამბულატორიებსა და პოლიკლინიკების პროგრამებზე გაწეულ ხარჯს. პროგრამით დაფინანსებულია შემდეგი ქვეპროგრამები: ურგენტული სამედიცინო მომსახურება და მშობიარობა, სოციალურად საშიში დაავადებების პრევენცია, ღიას თემის მოქალაქეთა პედატოლოგიური გამოკვლევა, ანტირაბიული მომსახურება.

უმწეოთა უფასო სასადილოები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს უმწეოთა ორი უფასო სასადილო, ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში.

პროგრამის მიხედვით, ბენეფიციარი უნდა იყოს რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 100 000-ს. უპირატესობა ენიჭებათ ისეთ ბენეფიციარებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შერჩევის შემდეგ კრიტერიუმებს:

- ✓ სარეიტინგო ქულა არ აღემატება - 70 000-ს;
- ✓ ოჯახის შრომისუუნარო წევრები (ინვალიდები);
- ✓ დედ-მამით ობოლი ბავშვები;
- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ოჯახის წევრები;
- ✓ გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრები.

გამოვლენილი გარემოება

2011-2012 წლებში ქ. წალენჯიხაში უმწეოთა უფასო სასაბუღალტრო ემსახურებოდა 112 ბენეფიციარს, ხოლო ქ. ჯვარში - 110-ს. საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტს აღნიშნულ მომსახურებას შესაბამისად უწევდნენ ი/მ გიორგი ჭანია და ი/მ ვალერი ჭიჭინაძე. აღნიშნული პირები ტენდერებში იმარჯვებდნენ უკონკურენტოდ.

❖ ჩაშლილი ტენდერი

2011 წლის 31 იანვარს გამოცხადდა ორი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, უმწეოთა უფასო სასაბუღალტრო მომსახურებაზე - ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში. შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მუშაობის დროს დაშვებულ იქნა მექანიკური შეცდომა, რის გამოც ტენდერს მიენიჭა სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით.“ ამის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარის³ ბრძანების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით⁴ გაუფორმდა ხელშეკრულებები იმ მიმწოდებლებს, რომლებიც უკონკურენტოდ მონაწილეობდნენ ტენდერში. ხელშეკრულება მოიცავდა მომსახურების შესყიდვას 2011 წლის 8 თებერვლიდან 22 თებერვლამდე, აღნიშნული პერიოდის დასრულების შემდეგ თავიდან გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი დარჩენილ ღირებულებაზე.

³ 2011 წლის 8 თებერვლის №1-052

⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თავი II, მუხლი 10¹, პუნქტი 3^ბ.

❖ ანგარიშსწორების პირობები

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების პირობები⁵ არ ითვალისწინებდა წინასწარ ანგარიშსწორებას. მიუხედავად ამისა, გასაწევი მომსახურების დაფინანსების მიზნით, შესაბამისი გარანტიის წარმოდგენის გარეშე⁶, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებს ავანსად ჩაერიცხათ მთლიანი ღირებულების 83% (245.5 ათასი ლარი), რაც არ შეესაბამება გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს¹.

❖ ანაზღაურებული დღგ

2012 წელს უმწეოთა უფასო სასადილოების მომსახურებაზე გამოცხადდა ორი გამარტივებული ელ. ტენდერი ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში, ორივე ტენდერის საერთო სავარაუდო ღირებულება იყო 150 ათასი ლარი, დღგ-ის ჩათვლით.

ხელშეკრულების მიხედვით, ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში მიმწოდებლები არ იყვნენ დღგ-ის გადამხდელები. შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშფაქტურა არ წარმოუდგენიათ. თუმცა სახელშეკრულებო ღირებულება ანაზღაურდა სრულად, მათ შორის, დღგ - 22.9 ათასი ლარი.

❖ სასადილოს ფართობის ქირა

2011-2012 წლებში, ქ. ჯვარში კვებითი მომსახურების შესყიდვისას, შესაბამისი ფართობის მისამართი, რომელიც მიმწოდებელს უნდა ექირავა, წინასწარ იყო

⁵ ხელშეკრულება №ტ-3(4172), №ტ-4(4173), №ტ-2(00911), №ტ-3(00913).

⁶ მუხლი 19. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

განსაზღვრული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას.⁷ ორივე წელს ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულია ერთი და იგივე მისამართი.⁸ 2011 წელს ხარჯთაღრიცხვასა და შესრულებული სამუშაოს აქტში ფართობის ქირა არ არის გაწერილი. 2012 წელს მუნიციპალიტეტის მიერ უმწეოთა სასადილოს მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება ნაცვლად 70 ათასი ლარისა, განისაზღვრა 75 ათასი ლარით. ზრდა გათვალისწინებული იყო სასადილოს მიერ დაკავებული ფართობის საიჯარო ქირის გადასახდელად. შესაბამისად, შემსყიდველის მიერ ქირის სახით ანაზღაურებულია 5 ათასი ლარი. მიმწოდებლის წერილობითი განმარტებით, ის არ იხდიდა ფართობით სარგებლობის საფასურს, რადგან შენობის მფლობელი არ იყო გარკვეული და ანაზღაურებაც არავის მოუთხოვია.

❖ მომსახურების მიწოდების პირობები

საანგარიშო წლებში უმწეოთა უფასო სასადილოს მომსახურების შესყიდვისას სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო, რომ მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველდღე. მიუხედავად ამისა, მიმწოდებლების წერილობითი განმარტებით, კვირა დღეს სასადილოები არ ფუნქციონირებდა და ორჯერ დღის ულუფას გასცემდნენ შაბათს. ამასთან, ბენეფიციართა მხოლოდ მცირე რაოდენობა მიირთმევდა საკვებს სასადილოში, დანარჩენს - მიჰქონდა სახლში.

❖ ბენეფიციართა რეზერვი

უმწეოთა უფასო სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობა დგინდება წლის დასაწყისში. სხვადასხვა მიზეზის გამო მათი ჩანაცვლება ხდება იმ მოქალაქით,

⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (მუხლი 12, პუნქტი 6): შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა, „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვ.

⁸ ქ.ჯვარი, რუსთაველის №1.

რომელიც განცხადებით მიმართვის საფუძველზე ირიცხება რეზერვში. მოწოდებული ინფორმაციით, დღესდღეობით ქ. წალენჯიხაში არსებულ ბენეფიციართა რეზერვში ირიცხება 5 მოქალაქე, რომლებმაც განცხადებით მიმართეს რწმუნებულს 2011-2012 წლებში, მათ შორის ყველაზე ადრე დაწერილი განცხადება დათარიღებულია 17.10.2011 წლით. მიუხედავად მსურველთა არსებობისა, ბენეფიციართა დამტკიცებული რაოდენობა არ იცვლება.

❖ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასა და შესრულებას შორის სხვაობა

წალენჯიხაში, 2011 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებასა და ხარჯთაღრიცხვას შორის ყოველთვიურად ფიქსირდებოდა სხვაობა - საშუალოდ, ოთხასი ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ თანხის ანაზღაურება ხდებოდა ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მიერ ზედმეტად გადახდილმა თანხამ სულ შეადგინა 4 ათასი ლარი. მიმწოდებლის წერილობითი განმარტებით, აღნიშნული თანხით მან, საკრებულოსთან შეთანხმებით, შეიძინა კვების პროდუქტები და გადასცა ბენეფიციარებს. მიმწოდებელმა წარმოადგინა შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები. თუმცა, მოხდა თუ არა შემდგომ, მათი გადაცემა ბენეფიციარებზე, დოკუმენტურად ვერ ადასტურებს. წერილობითი განმარტებით, აღნიშნული დოკუმენტაცია შეიქმნა, მაგრამ ვერ იქნა წარმოდგენილი.

გაჭირვებული და დაბალშემოსავლიანი ან მრავალშვილიანი ოჯახებისათვის

ერთჯერადი დახმარება

მუნიციპალიტეტის მიერ რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ გაჭირვებულ ან მრავალშვილიან ოჯახებზე გაიცემოდა ერთჯერადი ფულადი დახმარება. პროგრამა მიზნად ისახავდა სოციალური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ერთჯერადი დახმარების ოდენობა სოციალურად დაუცველთათვის განსაზღვრული იყო 50-1000 ლარის ფარგლებში, ხოლო მრავალშვილიანთათვის ყოველ არასრულწლოვან შვილზე - 50 ლარი. დახმარება გაეწეოდა ისეთ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავდათ ოთხი და მეტი შვილი.

2012 წლიდან მრავალშვილიან ოჯახებზე დახმარებები გაიკუმშა ყოველთვიურად, 20 ლარის ოდენობით, ხოლო ის მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალური სუბსიდიების სააგენტოში და იღებენ ყოველთვიურ ფულად შემწეობას, წელიწადში ერთხელ, პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, იღებდნენ ერთჯერად ფულად დახმარებას.

გამოვლენილი გარემოება

2011 წელს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო 101 მრავალშვილიანი ოჯახი, რომელთაც ჰყავდათ 308 არასრულწლოვანი შვილი⁹, ხოლო 2012 წელს დაახლოებით 119 ოჯახი - 324 არასრულწლოვანი ბავშვით¹⁰.

არაფულადი სოციალური დახმარება

პროგრამის მიზანია, დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის არაფულადი სოციალური დახმარების გაწევა, მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სადღესასწაულო დღეებში მორალური მხარდაჭერა.

მუნიციპალიტეტის დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის „არაფულადი სოციალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, 2011 წელს 2-ჯერ გაიცა დახმარება: მარიამობისა და ახალი წლის დღესასწაულების აღსანიშნავად. პირველ

⁹საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №6 განკარგულება.

¹⁰სტატისტიკა მიახლოებით არის განსაზღვრული, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

შემთხვევაში - 2.4 ათასი ლარის დახმარება გადაეცა 95 ოჯახს, თითოეულზე 25 ლარის ღირებულების კვებისა და საყოფაცხოვრებო პროდუქტები, მეორე შემთხვევაში დახმარება გაეწია 128 ოჯახს (თითოეულზე 20 ლარის), საერთო თანხით 2.6 ათასი ლარი.

2012 წელს პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 4-ჯერ გაეწია დახმარება, საერთო თანხით 8.6 ათასი ლარი. მათ შორის, ერთხელ - შობა-ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ხოლო 3-ჯერ - სტიქიის გამო. სადღესასწაულოდ ფახულანის თემის წყოუშის უბანში მცხოვრებ 40 ოჯახს გადაეცა კვების პროდუქტები, თითოეულს - 89 ლარის ღირებულების. იანვრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 146 ოჯახს გადაეცა კვების პროდუქტები, თითოეულს - 22 ლარის ღირებულების და 136 ოჯახს დაურიგდა - 200 ლარის ღირებულების პური. ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ ობუჯსა და წალენჯიხაში მცხოვრებ 14 ოჯახს გადაეცა კვების პროდუქტები, თითოეულს - 110 ლარის ღირებულების.

გამოვლენილი გარემოება

- 2011 წელს ბიუჯეტში არასწორად არის წარმოდგენილი არაფულადი სოციალური დახმარების გაცემა. კერძოდ, 2.4 ათასი ლარის ღირებულების კვებისა და საყოფაცხოვრებო პროდუქტები აისახა მუხლში „სოციალური დახმარება“ - ფულადი ფორმით, ნაცვლად სასაქონლო ფორმისა.
- 2012 წელს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის „არაფულადი სოციალური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა განახორციელა სამი შესყიდვა, საერთო ღირებულებით - 5.3 ათასი ლარი. აღნიშნული თანხით შესყიდულ იქნა საკვები პროდუქტები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოვლინდა ხარვეზები:
 1. 2012 წლის 4 იანვარს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით კვების პროდუქტების შესყიდვაზე, ღირებულებით - 3.6 ათასი ლარი. სასაქონლო ზედნადებით კვების პროდუქტები

შესყიდულ იქნა 9 იანვარს, ხოლო აღნიშნულზე მიღება-ჩაბარება შემსყიდველსა და მოსახლეობას შორის გაფორმდა 5 იანვარს.

2. 2012 წლის 3 თებერვალს, მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება პურის შესყიდვაზე, ღირებულებით - 0.2 ათასი ლარი. სასაქონლო ზედნადებით კვების პროდუქტები შესყიდულ იქნა 4 თებერვალს, ხოლო მოსახლეობას პური დაურიგდა 31 იანვარს.

3. 2012 წლის 12 სექტემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა კვების პროდუქტების შესყიდვაზე ღირებულებით - 1.5 ათასი ლარი. აღნიშნული პროდუქტები ელექტრონული სასაქონლო ზედნადებით შესყიდულია 15 სექტემბერს, ხოლო მოსახლეობას გადაეცა - 12 სექტემბერს.

	ხელშეკრულების თარიღი	შესყიდვის თარიღი	მოსახლეობაზე გადაცემის თარიღი	ღირებულება (ათასი ლარი)
1.	04.01.2012	09.01.2012	05.01.2012	3.6
2.	03.02.2012	04.02.2012	31.01.2012	0.2
3.	12.09.2012	15.09.2012	12.09.2012	1.5

გარდაცვლილ ლტოლვილთა და ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი

2011-2012 წლებში, აღნიშნული პროგრამით, მუნიციპალიტეტის მიერ დახმარება გაეწეოდა მეორე მსოფლიო ომის გარდაცვლილი ვეტერანებისა და გარდაცვლილი იძულებით გადაადგილებული პირების ოჯახებს.

დაკრძალვის ხარჯის ოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

- ✓ მეორე მსოფლიო ომის გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახებზე - 250 ლარი;

- ✓ გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე - 2011 წელს 50 ლარი, ხოლო 2012 წელს - 100 ლარი.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების და საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება

2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრებისა და ომის შედეგად დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის ოჯახების ერთჯერადი დახმარება 500-დან 1500 ლარის ფარგლებში.

2012 წელს ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა გაფართოვდა და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების, მათთან გათანაბრებულების ოჯახებისა და ომის შედეგად დაზარალებული მშვიდობიანი მოსახლეობის ერთჯერადი ფულადი დახმარება. ზღვრული ოდენობა განისაზღვრა 500-დან 1000 ლარის ფარგლებში.

სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება ან საცხოვრებლით უზრუნველყოფა

2011 წელს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა და სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებლით ან საშენი მასალით უზრუნველყოფა ხდებოდა ყოველი კონკრეტული შემთხვევის ინდივიდუალური შესწავლით. ამ პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება გაეწია 19 ოჯახს - 14.6 ათასი ლარის ოდენობით.

2012 წელს მოქმედებდა აღნიშნული დახმარების გაცემის იგივე წესი, მხოლოდ განისაზღვრა ერთჯერადი ფულადი დახმარების ზღვრული ოდენობა - 1.0 ათასი ლარით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის გამგებლის

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, შესაძლებელი იყო გამოყოფილიყო უფრო მეტი თანხა. პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარება გაეწია 40 ოჯახს - 28.6 ათასი ლარის ოდენობით.

პროგრამის ფარგლებში ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ტრანსფერით, მუნიციპალიტეტმა სტიქიით დაზარალებული ორი ოჯახი დააკმაყოფილა საცხოვრებელი სახლით, ღირებულებით - 53,1 ათასი ლარი.¹¹

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

- ✓ 2011-2012 წლებში, საკრებულოს განკარგულების შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა ხდებოდა განმცხადებლის ან, გამონაკლის შემთხვევაში, შესაბამისი თემის რწმუნებულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით. თავის მხრივ რწმუნებული ბენეფიციარზე ახორციელებდა ფულადი დახმარების გაცემას უწყისის საფუძველზე. რწმუნებულების წერილობითი განმარტებით, ეს მეთოდი გამოიყენებოდა ავადმყოფი და უუნარო ბენეფიციარების შემთხვევაში. თუმცა, ანგარიშსწორების ასეთი წესი რისკის შემცველია.
- ✓ 2011 წლის 28 და 23 დეკემბერს ი/მ გიორგი ჭანიაშვილმა (უმწეოთა უფასო სასაბუღალტრო მომსახურების ფარგლებში) და მუნიციპალიტეტმა განახორციელეს საკვები პროდუქტების შესყიდვა ი/მ გულთამაშზე ხვიჩავასგან. გამყიდველის მიერ წარმოდგენილ ორივე სასაქონლო ზედნადებს აქვს ერთი და იგივე ნომერი (№26).

¹¹საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 20 ივლისის №1125 ბრძანება „სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების შეძენის მიზნით“.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების სოციალური პროგრამებით გაწეული ხარჯები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტით“ და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების მიხედვით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ-ასისტენტი:
თეა არველაძე

თ.ჩვეჭავაძე ხელმოწერა 19.11.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
სოფიო ბელთაძე

ს.ბელთაძე ხელმოწერა 19.11.2013 თარიღი